№24/60 ოზურგეთის საოლქო-საარჩევნო კომისიაში, შემაჯამებელი ოქმის დამტკიცებას ხმაური მოჰყვა

ალიონი. 11 ნოემბერს, №24/60 ოზურგეთის საოლქო-საარჩევნო კომისიამ საპარლამენტო არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმი დაამტკიცა.

სხდომის დაწყებას მცირე ხმაური ახლდა. საოლქო კომისიის წევრებმა: საარჩევნო ბლოკის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ წარმომადგენელმა მზია წერეთელმა და პარტია „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია – ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის“ წარმომადგენელმა ეკა სურგულაძემ ხმაურის შემდეგ, ხოლო პარტია „დავით თარხან მოურავი-ირმა ინაშვილი, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის წარმომადგენელმა თამარ შიოლაშვილმა ყოველგვარი ხმაურისა და განმარტების გარეშე დატოვა სხდომა.

–როგორც გინდათ, ისე წერეთ ეს ოქმი. რომელ ამომრჩეველს ატყუებთ, საკუთარ მოსახლეობას, რომ ლეგიტიმურად ჩაატარეთ არჩევნები? თქვენ კანტორა გავთ და ამ არჩევნებს ვერ „გააპრავებთ“, თქვენ გაყალბეთ არჩევნები– მიმართავდა საოლქო-საარჩევნო კომისიას მზია წერეთელი.

*–არჩევნები ტოტალურად თქვენი ხელისუფლებაში ყოფნის დროს ყალბდებოდა და არა დღეს–*პასუხი დაუბრუნეს კომისიის წევრებმა.

მას შემდეგ, რაც წერეთელმა და სურგულაძემ დატოვეს სხდომა და მას შიოლაშვილი და სხდომაზე დამსწრე წარმომადგენელთაგან, კიდევ რამდენიმე პირი გაჰყვა.

.საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ბერდია ცეცხლაძემ კომიის წევრებს და დამსწრე საზოგადოებას გააცნო ოზურგეთის №24-/60 საარჩევნო ოლქში (ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური) როგორც პროპორციული, ისე მაჟორიტარული არჩევნების შედეგები.

შემაჯამებელი ოქმის დამტკიცება, სხდომაზე დარჩენილმა კომისიის 8 წევრმა ხელმოწერებით დაადასტურა.

გამოიწერეთ გაზეთი „ალიონი“ ხელმოწერა:

ერთი წლით – 30 ლარი

6 თვით – 15 ლარი

საცალო ფასია 60 თეთრი

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 33 (10367) 16 ნოემბერი 2020 წ. ფასი 60 თეთრი.

პაატა იმნაძე კოვიდინფიცირებულების თვის განცხადებას ავრცელებს

კორონავირუსით ინფიცირებულ იმ ადამიანებს, რომლებიც სახლში მკურნალობენ, მუდმივი კავშირი უნდა ჰქონდეთ ოჯახის ექიმებთან, რადგან მათ ყველაზე კარგად იციან, რა რისკფაქტორები აქვთ ამ ადამიანებს და მათი ჯანმრთელობისთვის, რა შეიძლება იყოს პრობლემა, – ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილემ, პაატა იმნაძემ „იმედის დილაში“ განაცხადა.

პაატა იმნაძე კორონავირუსით ინფიცირებულ იმ პირებს, რომელებიც მსუბუქი მიმდინარეობით სახლში მკურნალობენ, თრომბოემბოლიის რისკის შესამცირებლად, ურჩევს დიდი რაოდენობით წყლის მიღებას, ფიზიკურ აქტივობასა და ასევე, ლიმონის მიღებას.

„იმისთვის, რომ თრომბოემბოლიის რისკი შევამციროთ, პირველ რიგში ეს არის ბევრი სითხის მიღება, წყლის მიღებაა ყველაზე კარგი. ასევე აუცილებლია მოძრაობა. მიუხედავად იმისა, რომ კორონავირუსს საშინელი სისუსტე ახასიათებს, თავს ძალა უნდა დავატანოთ და ბევრი ვიმოძრაოთ. სულ მცირე, უნდა ვიაროთ. არის გარკვეული ვარჯიშები, რომლებიც უნდა შევასრულოთ. ასევე გაციების დროს ლიმონიანი ჩაი რომ კარგია, ესეც ყველამ ვიცით. ასე რომ, ვინც სახლშია, მიიღოს ბევრი წყალი, იმოძრაოს და ასევე, მიიღოს ლიმონი, რომელსაც სისხლის გამათხელებელი შეიძლება ვუწოდოთ“, – განაცხადა პაატა იმნაძემ

სად ოზურგეთი და სად სამგორი?!

ანუ რატომ არ განიხილა №24/60 ოზურგეთის საოლქო-საარჩევნო კომისიამ „ერთიანი ნაციონალური“ მოძრაობის რამდენიმე საჩივარი

ალიონი. დავიწყოთ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის **ნინო კილაძის** საჩივრით (სარეგისტრაციო ნომერი 742/20-20), რომელშიც ქალბატონი ნინო აღნიშნავს, რომ **„ოზურგეთის საუბნო საარჩევნო კომისიებმა, ხმის დათვლის დროს, უკანონოდ გააბათილეს საარჩევნო ბიულეტენები, რომელზეც ამომრჩევლის ნება გამოხატული იყო. გაბათილებული ბიულეტენების უმრავლესობა იყო ოპოზიციისთვის მიცემული ხმები“.** ამ საჩივრის საფუძველზე ითხოვს კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობას არა №24/60 ოზურგეთის, არამედ სამგორის (?!) საარჩევნო ოლქში შემავალ საარჩევნო უბნებში: **„საჩივრის საფუძველზე. გთხოვთ, გადათვალოთ საარჩევნო უბნების ბათილი ბიულეტენები, სუბიექტებისთვის მიცემული ხმები და შემოწმების შედეგების შესაბამისად, შეცვალოთ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის მონაცემები/ბათილად ცნოთ კენჭისყრის შედეგები სამგორის საარჩევნო ოლქში შემავალ საარჩევნო უბნებში“.**

უკომენტაროდ.

მორიგ საჩივარში შემაჯამებელი ოქმის ბათილად ცნობის თაობაზე (სარეგისტრაციო ნომერი 781/2020) ქალბატონი ნინო წერს, რომ „№24/60/36 უბნის შემაჯამებელი პროპორციული ოქმი არ არის დასაბუთებული და ის ბათილად უნდა იქნეს ცნობილი შემდეგ გარემოებათა გამო. შემაჯამებელი ოქმის შესაბამისად, არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა შეადგენს 421-ს. ამათგან საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმათა საერთო რაოდენობა და ბათილი ბიულეტენების ჯამი შეადგენს 422-ს“.

ავტორი მიიჩნევს, რომ საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ აღნიშნული შემაჯამებელი ოქმი და მის საფუძველზე დამდგარი შედეგები ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, როგორც პირდაპირი შედეგი კანონსაწინაა-ღმდეგო მანიპულაციებისა და არჩევნების შედეგების გაყალბებისა. ითხოვს, საარჩევნო კოდექსის 74-ე მუხლის მე-6 ნაწილისა და 77-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, განიხილონ საჩივარი და ბათილად ცნონ **მშვიდობაურის** №2460/55 საარჩევნო უბნის შემაჯამებელი პროპორციული ოქმი.

რა გამოდის – დარღვევა აღმოჩენილია №24.60.36 საარჩევნო უბანში (ნაღობილევში) და ვითხოვთ №24.60.55 საარჩევნო უბნის (მშვიდობაური) შემაჯამებელი პროპორციული ოქმის ბათილად ცნობას?!

ქალბატონ ნინოს ანალოგიური დარღვები აღმოუჩენია და ითხოვს ოზურგეთის №24.60.35, №24.60.11 (ორი საჩივარი), №24.60.21; №24-.60.06 (საჩივრების სარეგისტრაციო ნომრები: 780/2020; 756/2020; 752/2020; 750/-2020; 748/2020) საარჩევნო უბნების შემაჯამებელი პროპორციული ოქმების ბათილად ცნობას. **ამჯერად საარჩევნო უბნის ნომრებს (24.60.35) სწორად იმეორებს, მაგრამ რა-**

▶▶▶ გვ-2

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი თვიშობათი ალიონზე

«ალიონით»

სად ოზურგეთი და სად სამგორი?!

ანუ რატომ არ განიხილა №24/60 ოზურგეთის საოლქო-საარჩევნო კომისიამ „ერთიანი ნაციონალური“ მოძრაობის რამდენიმე საჩივარი

ტომღაც ყველგან მშვიდობა-ურის იმეორებს, მაშინ, როდესაც №24.60.35, №24.60.11, №24.-60.21; №24.60.06 უბნები მდებარეობს შესაბამისად სოფელ მერიაში, დაბა ლაითურში, ქვედა ბახვსა და ქალაქ ოზურგეთში (ცენტრის პირველი).

საოლქო საარჩევნო კომისიამ დააკმაყოფილა **სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიული საერთაშორისო საზოგადოების** წარმომადგენლის **სათუნა მკურნალიძის** საჩივარი, რომელიც შეეხებოდა №24-.60.52 ძიმითის საარჩევნო უბანზე მომხდარ ფაქტს. საჩივრის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ, მოქალაქემ, რომელიც შეყვანილი იყო გადასატანი ყუთის სიაში, საარჩევნო უბანში მისცა ხმა, მიუხედავად იმისა, კედლის სიაშიც აღნიშნული იყო ფაქტობრივი მდგომარეობა, მაგრამ ფაქტობრივი მდგომარეობა არ იყო შეტანილი სამაგიდო სიაში.

საოლქო საარჩევნო კომისიამ განიხილა და დააკმაყოფილა **საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის კვალიფიციურად შედგენილი 8 საჩივარი** (აქედან 6 დაფიქსირეს ოზურგეთის საარჩევნო უბნებში (№№23, 32, 34, 43, 22, 38) ხოლო 2 – ლანჩხუთის საარჩევნო უბნებში (№№ 10, 12).

რაც შეეხება საია-ს საჩივარს, მშვიდობაურის №22 საარჩევნო უბანში ხელახლა გადაეთვალათ ბათილად ცნობილი ბიულეტენები, კომისიამ დააკმაყოფილა, პაკეტის გახსნისას კომისიის მდივნის განმატება დადსტურდა,. გაფრთხილება მიეცათ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ორი წლის განმავლობაში ვერ დაიკავებენ შესაბამის თანამდებობებს.

ეს ლაპარაკი ბოლოს „ერასა“ და „GTZ“-ის ერთობლივ ინიციატივებზე

ევროპის რეგონთა ასამბლეა „**AER**“**„ერა“.** ეს ორგანიზაცია ევროპის 600 მდე რეგიონს აერთიანებს. კნუტ გერბერის კახა ტოტოჩავას და „შალომ კლუბის“ და „**GTZ**“-ის თანამშრომლობით გურია „ერა“-ს წევრი გახდა.მაშინ გურია ევროპმ დაინახა.„ერა“-ფინეთის, ტამპერეს ასაბლეაზე გურია, სადაც გურიის დელეგაცია ჩავიდა„ერა“-ს წევრი გახდა. მალე გურიაში „„ერა“-წარმომადგენლები და გენერალური მფივანი **კლაუს კლიპიც** ჩამოვიდა,ჩატარდა ასამბლეა.შემდეგ ჩვენ ყველამ დაგვივიწყა. მაშინდელმა გუბერნიამ არ გააგრძელა ერასთან ურთიერთობა რატომ, დღესაც არ ვიცით და დღეს გურიას შეწყვეტილი აქვს „ერა“-ს წევრობა. დავკარგეთ ტრიბუნა ევროპაში. გვინდა კვლავ აღდგეს გურიის სტატუსი „ერა“-ში.. გურიის გუბერნატორის, დეპუტატის და ყველა დაინტერესებული ადამიანის ჩართულობით.ვისაც სურვილი გაქვთ შემოგვეხმიანეთ,შევქმნად საინიციატივო ჯგუფი ვიმუშაოთ ამ საკითხზე. ველით თქვენ გამოხმაურებას.–წერს ზაურ ოსეფაიშვილი საკუთარ ფეისბუქგვერდზე.

ეს ლაპარაკი ბოლოს

...

...

...

...

...

...

ლიტერატურული კურიერი

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის გურიის ორგანიზაციის გაზეთი № 11, (14), ნოემბერი, 2020წ

მაია ჩხაიძე

***

მწითურია ჩემს სოფელში შემოდგომა,
მიწაც შვენის ნარინჯისფრად
დაჭორფლილი,
ნოემბერმა სევდისფერი შემომთოვა,
ჰორიზონტზე მთებიც მოსჩანს
დათოვლილი.
ძველებურად ვეგუებით ფოთოლთ
კვდომას,
შიშველ ხეებს ბინა უდევთ ნაყანევში,
გული ისევ აჰყოლია კდემით
თრთოლვას,
კლდის ღარებში, ისევ მოდის წვიმა თქეშით.
საკვამურთან, ლეგა ღრუბლებს უწევთ დგომა,
გვაჯადოებს მთის ლაციცი ქარვისფერი,
მწითურია ჩემს სოფელში შემოდგომა,
ნოემბერმა შემომთოვა სევდის ფერი.

***

თითქოს გამებუტა მუზა,
ყოფით პრობლემებით დაღლილს,
გარეთ ქარიშხალი მუსრავს,
ფლორას, ძალისაგან დაცლილს.
კაცი მილასლასებს ქუჩად,
ქალიც მარტოსული დადის,
ღამე ხანგრძლივობით მტუქსავს,
დღესაც, აქ გასვლია ყავლი.
დრო კი, ისევ იწერს ქულას,
ხარობს, მდიდარია წამით,
ქალი, კვლავ მოუხმობს მუზას,
რიდით, მონატრებით, კრძალვით.

შემოდგომის არია

,,შემოდგომას სენად დასდევს
ფოთოლცვენის მანია,
მერამდენედ შემოიცვა მეწამულის
მანტია,
დროც ოქროსფრად გადაიქცა,
ამოტვიფრა სიმები,
მზემ მთვლემარე შემოდგომის
ჩამოთოვა ფიქრები.
მიინავლა სევდის რითმი, გადაიქცა
არიად,
ექო ფეხქვეშ გათელა და შექმნა
ვაქხანალია,
ცის კიდურზე აირეკლა
ფოთოლცვენის ჩრდილები,
მზემ ფოთოლი ჩამოაჭკნო და
შეღება ისრებით."

***

სიკვდილისათვის მზაობა მომასწრებინე, ღმერთო,
კვლავ სევდიანი გავცქერი ჩემს გასავლელ გზას-ბექობს,
ვერ მოვაღწიე შენთან და კვლავაც შენდობას შეგთხოვ,
ამ წუთისოფლის ლაბირინთს ვერ დავაღწიე თავი,
ცხოვრებამ ბევრი მარგუნა ბოროტიცა და ავიც,
თუმც მიუსაფრის სული მაქვს, მაინც ცისკრეთში გხედავ,
ამაოების მზირალი შენთან საუბარს ვბედავ.
ზღვის ტალღებივით მშფოთვარე დავეძებ ნავთსაყუდელს,
თითქოს ჯებირი მომპარეს ცის სარკმელს მიმაყუდეს,
უსასოობის განსაცდელს წყვდიადის ფსკერზე ვხედავ,
ღმერთო, გვაშორე ყოველგანს მსგავსი განცდების სევდა.
ტკივილმა შეკრა კამარა ჩემს გასავლელ გზას, ბექობს

შენმა სიყვარულმა მომკლას

თუკი ვერაფერი შემცვლის,
თუკი ამაოა ლოცვაც,
თუკი დავეცემი ფერხთით,
შენთან მონატრებით მოვალ.
თუკი მევლინები ელდად,
სულში ჩამეღვრები სევდად,
თუკი უბედოდ თუ ბედად,
მაინც, შენს სიყვარულს ვბედავ.
თუკი სიზმარშიც და ცხადშიც,
შენით, მხოლოდ შენზე ვბოდავ,
თუკი უშენობის შიშით,
ხშირად სულშეძრული ვბორგავ.
თუკი ეკარგება ფერი,
ქალაქს, ქუჩებსა თუ მიწას,
თუკი ვერაფერი მშველის,
თუკი ლოცვაც ვეღარ მიცავს.
თუკი სიყვარული წრფელი,
მაინც ჩამეთვლება ცოდვად,
დაე, ამქვეყნიურ წნეხში,
შენმა სიყვარულმა მომკლას,

***

მზისფრად დათრთვილული მზერა
გუშინ, უსაშველოდ წვიმდა,
დღეს, კი...უსაშველოდ ბარდნის,
ფიქრებს გავეკიდო მინდა,
მინდა შევაჩერო წამიც.
რადგან მენატრება შენი,
მზისფრად დათრთვილული მზერა,
რადგან გაიცვითა წლები,
მხოლოდ წარსულისა მჯერა.
ახლა მეფიქრება ასე,
მხოლოდ წარსულიღა მავსებს,
სულის ქარტეხილის მაცნე,
ტანჯვით გულის კედლებს
ანგრევს,
და მსურს გადმოსახლდე ისევ,
აქვე, ჩემს გვერდით და მალე,
თავი დააღწიო დილეგს,
აწმყოც, რომ სიყვარულს ჰგავდეს.
ვგრძნობ, რომ ჯანსაღ ფიქრის
ნაცვლად,
ფუჭი ოცნებები მტანჯავს,
თუმცა, ვინ დაუდებს საზღვარს,
გრძნობებს ხომ მსაჯული არ
ჰყავს!...
რადგან სურვილია ჩემი,
ფიქრებს ოცნებების სჯერა,
რადგან მენატრება შენი,
მზისფრად დათრთვილული მზერა.

ხვალ შენთან პაემანზე ვიქნები

ეს ჩემი სიყვარულის ველია,
სივრცეზე მიცოცავენ ფიქრები,
ალბათ, უსაშველოდ მელიან,
ხვალ, შენთან პაემანზე ვიქნები.
დღე ჩემთვის სევდისფერია,
სულში ჩაკირულან ცრემლები,
ცრემლიც მონატრების ფერია,
შენთან უსათუოდ ვიქნები.
სამყარო ისევ მზისფერია,
ზღვაში ჩაძირულან სხივები,
გწერს შენი სიზმრის ფერია,
ხვალ, შენთან პაემანზე ვიქნები.

მწუხრის ჟამი

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი და ამ კავშირის გურიის რეგიონული ორგანიზაცია იუწყება ქართული პოეზიის დიდი ოჯახის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენლის, ვერლიბრის უბადლო მთხზველის, ქალბატონი

მალვინა თოიძის

გარდაცვალებას.

სტუმარი

ლაშა ხომერიკი

თანამედროვე ტესტი ანუ „ვაი ჭკუისაგან“

ჩემს წინ ტესტია, თუ სწორად ვუპასუხებ, გავარკვევ, როგორი პიროვნება ვარ, წარმატება მელის თუ წარუმატებლობა. მაშ, ასე, ვიწყებ პასუხს: პირველი შეკითხვა მავალებს გავარკვიო, როგორ ვეგუები გარემო პირობებს, მაკმაყოფილებს თუ პირიქით. არა, რა თქმა არ მაკმაყოფილებს, არ მომწონს. აბა, რაა მოსაწონი ჩვენს ყოფაში? კარიერისტებისა და ქვებუდანების საზოგადოებაში თავი კარგად როგორ უნდა იგრძნო? ამ განსაცდელის ჟამს ეს ჩივილი და სიმწრის კივილი ხომ პროტესტის გრძნობაა და არა უღონობის განცდა. ვწერ ამ სტრიქონებს და მიმაჩნია, რომ ტესტის მეორე შეკითხვას ვუპასუხე, რომლითაც გარკვევას ითხოვდნენ--რამდენად ლოგიკური ადამიანი ვარ. გონიერი თუ ვარ? თუ ადამიანისათვის ლოგიკური აზროვნებაა დამახასიათებელი, ნუთუ შეიძლება ის გონიერი არ იყოს? როგორც ჩანს, ტესტის ავტორებს ეს ეეჭვებათ. ნება მათია. კარგი ბატონო, ახლა მორიგ შეკითხვას ვუპასუხოთ--არის თუ არა ინტელექტუალური ძიებები ჩემი საყვარელი საქმიანობა. რომ არ იყოს, მაშინ ხომ ტესტის ამოხსნასაც არ დავიწყებდი. ჩემს მოსაზრებებს თუ ვაფასებ? აბა, როგორ, როგორც ყველა ჭეშმარიტ ქართველს, მეც მგონია, ჩემს მოსაზრებებს წყალი არ გაუვა. შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი ქაღალდზე გადავიტანო და საზოგადოებასაც წარვუდგინო. კი მაგრამ, რატომ ერთ დღეს, რა განსაკუთრებულ შემთხვევას ვუცდი, ამ აზრს ახლავე შეიძლება ხორცი შევასხა, ფეისზე ხომ ამის შესაძლებლობა მაქვს და შემიძლია ვუპასუხო შეკითხვას---გადაწყვეტილების მიღება სწრაფად შემიძლია თუ არა? მაგალითად, რა უნდა გააკეთოს ჯანმრთელობის უწყებებმა საზოგადოების გამოჯანმრთელე-ბისათვის. თუნდაც ასეთი საკითხი ავიღოთ--როგორ ავიცილოთ საყოველთაო ზომბირება, ფსიქოტრონული იარაღის შემცვლელებად მოვლენილ ტელევიზიებს რომ დაუმუშავებიათ და მოხერხებულად იყენებენ თავიანთ "პუბლიცისტურ" ტელეპოლიტიკურ შოუებს მაყურებელთა გულის ასაჩუყებლად. ვზივართ ტელევიზორის წინ და გვიჩნდება შეგრძნება, რომ თითქოს მითიურ პანდორას ყუთს თავი ახადეს... მყოფნის აუ არა მოთმინება? აბა, მოთმინება რომ არ მყოფნიდეს, ტელევიზიების შოუების შემდეგ ხომ აღვშფოთდებოდი? მაგრამ არაფერიც, არხეინად ვარ, ის კი არა, ინტერესით შევყურებ "ცისფერ ეკრანს", უკვე აღარც მკვლელობები მიკვირს, აღარც კატასტროფები, აღარც გაავებული ბუნება, აღარც "კორონა"... საზოგადოებაში ყოფნა თუ მომწონს? კი მაგრამ, როგორ საზოგადოებაში, როგორ ვუპასუხო ამ შეკითხვას, ნუთუ კარგი საზოგადოება ეთქმის ადამიანთა გარკვეულ ე. წ. ელიტარულ წრეს, რომელიც მხოლოდ პირადი განდიდებისა და გამოჩინების სურვილით ავსებულა და პროტესტის გრძნობასაც იშვიათად ავლენს? ეს ხომ დამონებული საზოგადოებაა, ინტელიგენტები გამქრალან, რადგან ინტელიგენტი უპირველესად სულით მდიდარი ადამიანია, საზოგადოებრივი ინტერესებით ორიეტირებული, კეთილი ცოდნით აღნაგი... ამჟამად გამოჩინებულ ჩვენს საზოგადო მოღვაწეებს ჰგონიათ, რომ მათი ვალია, ხელისუფალთა მიმართ დითირამბების აღვლენა, არადა, როგორც გამოჩენილი მწერალი ბულატ ოკუჯავა ამბობდა:,,თანამშრომლობა ხელისუფლებასთან –ესაა პატიოსნად და ბეჯითად შესრულება შენი პროფესიული ვალისა საზოგადოების წინაშე და არა დითირამბები ხელისუფლების მიმართ,,. როგორც ხედავთ, ამ შეკითხვასაც უარყოფითად ვუპასუხე. კი მაგრამ, განა შეიძლება მომეწონოს საზოგადოება, სადაც სამართლიანობა ძნელად მკვიდრდება, უვარგისი სოციალური გარემო, ფსიქოტრონული საშიშროება იგრძნობა და ლამის ზომბებად გვაქციონ?! ტესტის პასუხები შევამოწმე და მინიმალური ქულა დავაგროვე, თურმე ასეთი ცხოვრების სტილით წარმატებას ვერასოდეს მივაღწევ, დინების საწინააღმდეგოდ მივცურავ, ჩემს პოტენციალსაც უმიზეზოდ ვხარჯავ, არც პრაგმატული უნარით გამოვირჩევი... ვითომ, ამის გასაგებად ტესტია საჭირო? როგორც იტყვიან,, ვაი ჭკუისაგან,,...

ოტია ტრაპაიძე

ზღვაო, დროებით ნახვამდის

როცა შავი ზღვა ლივლივებს,
მგონია, მთების ტრამალი,
მის მკერდზე შუქის ბილიკებს
შლის მთვარე ამომავალი...

აქაც ჩამომყვა – სურებში
ზვირთის ხმაური გაბმული,
სადაც კი წავალ, ზღვის ღელვას
სულ ვისმენ სულგანაბული.

ტყეში ვიყავი გუშინწინ,
შევდექი გაოცებული,
მეგონა, თითქოს გულში მყავს
შავი ზღვა გამომწყვდეული.

მთაზე ავედი, ზემოდან
გამოჩნდა მთელი ქვეყანა,
ზღვა ბობოყვათში დავტოვე,
სურებში შემომეყარა.

ვიღაც მეძახის შორიდან,
ჩანს ისე, როგორც ნახატი,
გავიგებ, უჭირს იქნება
– ზღვაო, დროებით ნახვამდის.



ენგური

ენგურო, ნაღვლიანი ხარ,
გაფიქრებს ხალხის წამება,
ძმათამკვლელ ომებს მოესწარ,
დაჭრილთა კვნესა, ვაებას.

აფხაზია თუ ქართველი,
შენთვის ორივე ერთია...
უცხოს ყაყაჩო ეგონა,
შენ იცი – სისხლის წვეთია.

შენს ირგვლივ მავთულხლართები,
ბეტონის მძიმე ხედია,
თავისუფალი სული გაქვს,
უნდა შეცვალო ბედია...

წალეკე მავთულხლართები,
ადიდდი, როგორც გჩვევია,
ქვეყანას გააგებინე,
რომ აფხაზეთი ჩვენია.

ჯემალ (დავით) დობორჯგინიძე



ჩემი თოხისადმი

ჩემო საწერ-კალამო, –
მოპირულო თოხო,
ლექსით თავს ვერ დავირჩენ,
მიწა ოფლით ვპოხოთ!

თოხო, მარჩენალი ხარ,
ყანა უნდა ვთოხნოთ,
შეგინახო, ჯალაბო,
გაგახარო, ქოხო.

დავილევით შრომაში,
სხვა მუქთად ჭამს ოხრობს,
ყველა ოქროს მჯობი ხარ,
მოელვარო თოხო!

თოხო, მეგობარი ხარ,
თან რა მტკიცე – ხო, ხო!
ვეფერები მე შენს ტარს,
მკბენს ბუზი და კოღო.

ჩრდილში ჩამოვისვენოთ,
(ტალახში წევს ყოყო),
ცოტა შენაც გაგრილდი
ვსვამ დუბელა – ნოყოს.

ხმელა მჭადი სადილად,
(მადლობა ღმერთს!)
ვლოღნოთ,
დარდ-საფიქრალს
გადავწვდეთ,
გული მოვიოხოთ!

აწკრიალდი, ფოლადო,
მოპირულო თოხო,
სამუშაო ბევრი გვაქვს,
ვიმღეროთ და ვთოხნოთ.

ოცნების ცისფერი ხომალდი

სიზმარში ზღაპრულად ნაგებო,
მსურს ჩემი ბედი რომ მოგანდო,
მხოლოდ შენ მიშველო ეგების,
ოცნების ცისფერო ხომალდო,

სკნელში მყოფს მეძახის ზესკნელი,
ვიფრინოთ შორეულ ხომლამდი,
იქ ვპოვოთ მქნელი და შემქმნელი
მწედ მექმენ ცისფერი ხომალდი!

მოქიშპე-მოშურნემ დამღალა,
ცოდვებზე ცოდვები ვამატე,
აქ ყოფნა არ მინდა, აღარა,
ხომალდო, წინსწრაფვით აღმანთე!

მშვიდობას ვუსურვებ ამ ვარდებს,
ამ მიწას, ამ მთებს და წყალ-ჭალას,
მე შევუერთდები ლაჟვარდებს,
აწ სხვებმა გათელონ გზა-შარა.

სიზმარში ზღაპრულად ნაგებო,
მსურს, ჩემი ბედი რომ მოგანდო,
მხოლოდ შენ მიშველო ეგების,
ოცნების ცისფერო ხომალდო!

გენრიეტა ქუთათელაძე

ციკლიდან: რეკვიემი დევნილთათვის

***

ისე
ვიქცევი,როგორც
ადამიანს შეჰფერის
და ამაში გასაკვირი
არაფერია;
თუმც მაინც
უკვირთ:
რატომ ვარ
სევდიანი,
რატომ მისველებს
წამწამებს ცრემლი,
რატომ ვპატიობ
ცოდვილს,
რომელსაც ზურგი
აქციეს გარეშეებმა
და შინაურებმაც,
როგორ ვუძლებ
სასტიკ რეალობას
და ფარ-ხმალს არ
ვყრი,
რატომ ვუფრთხი
მეზობელ ქვეყანას,
მან შეიძლება
მთელი ცხოვრება
შეცვალოს, დაარღვიოს
საზღვრები და
თავისუფლება
მოგვანატროს/;
რატომ არ მომწონს
აჟიტირებულ
ქალაქში ცხოვრება
ვაიმე, ეს ხომ
განტენბაინების
ქალაქია,
სადაც
შეხმატკბილებულან
სიძულვილი და
ზიზღი,
ბოროტება და
ვერაგობა,
ღალატი და
ფარისევლობა,

ანგარება და
მომხვეჭველობა...
მართლა აბსურდის
ბილიკზე
დავაბიჯებ,
ვსვამ
საწამლავს,ჩვენში
წამალს რომ ეძახიან
და ყველაზე
მაღალ ფასში ყიდიან...
ვეძებ
სამართალს,
მაგრამ
ამაოდ,
იდეალები
დამეფშვნა თავზე
, ო,ეს ჩვენებური
დემოკრატიაც
კროსვორდებს
მთავაზობს...
მაინც არ ვპუობ,
ვლამობ
ამოხსნას,მაგრამ
ამაოდ,
ვინ მაცლის...
ხმიანებს
ზუმერი:შეტყობინებები,
შეტყობინებები...

ო, ამ დაგროვების
ბარათებმა სული
შემიწუხა;
არა ,არ ვიყიდი
არაფერს ,
არ მინდა არაფერი,
დამანებეთ თავი,
ნუ მიგზავნით
შეტყობინებებს,
მაინც არ წავალ
ბანკში,
არ ავიღებ
კრედიტს,
არც პაუ ბარათს
გავააქტიურებ,
არც ბაზრობაზე
წავალ,
არა,დღეს არ
ვიყიდი არაფერს...
დღეს მე გელათს
ვეწვევი,
ჩემს საქართველოს
აღმოვაჩენ---
დიადს,დავითის
დროიდან მომზირალს...
მერე ისევ რეალობას
დავუბრუნდები,
ტაძრის შესასვლელთან
ხელგაწვდილ
მოხუცს
მივეახლები
და ჩემს დანაზოგს
ვუწილადებ,
გავამხნევებ და
მადლობას ვეტყვი
გაძლებისათვის;
დიახ,მივიქცევი
ისე,როგორც
ადამიანს შეჰფერის
და ამაში
განსაკუთრებული არაფერია.

რუსთაველის ძეგლი ისრაელში

მძიმე ეპიდემიისა და ამ დაძაბულ ამღვრეულ პოლიტიკურ ფონზე საქართველოს რუსთაველის საზოგადოება ერთ სასიამოვნო სიახლეს გაგაცნობთ. ისრაელში, ქალაქ კირიათ ბიალიკში დაიდგა შოთა რუსთაველის ბიუსტი. როგორც კი სათანადო პირობები შეიქმნება, დაგეგგმილია საზეიმოდ ამ ბიუსტის გახსნა.ამ დიდი საქმის რეალურად განხმორციელებლები არიან: რუსთაველის საზოგადოების ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარე, საზოგადო მოღვაწე, პოლიტიკოსი, ექიმი, შემოქმედი მერაბ კვიცარიძე და საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ქალაქ კირიათ ბიალიკის რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე, ისრაელში ქართული კულტურის პოპულარიზატორი , ისრაელში მოღვაწე ქართველ ხელოვანთა ასოციაციის „ნერგის'' პრეზიდენტი, ქორეოგრაფი შოთა წვენიაშვილი.

ეს ერთი კიდევ დიდი ნაბიჯია ოცაექვს საუკუნოვანი ქართულ-ებრაული მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

დავით შემოქმედელი
სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი

ნინიკო მშვიდობაძე

ბრმა თოჯინა

თვალები ამომიქარგა დედაჩემმა
და იძულებული ვარ დავინახო
ვერ მოვიმიზეზებ სიბრმავეს,
ამოქარგული,
მკვეთრად ყავისფერი თვალები
ბებიაჩემის დრაფის პალტოს
უზარმაზარ ღილებს მიმიგავს,
როგორ დავხუჭო
დავიმახსოვრებ
ფოტოგრაფის ალღო და ხედვა
თანდაყოლილად მაქვს და ამიტომ
ვარჩევ კადრებს,
ფერებს, სახეებს,
ხეების ვარჯებს
და ვარჯებში გახლართულ მზესაც
ვარჩევ სიუჟეტებს, ნატურმორტებს,
პეიზაჟებს,
თუმცა ყველაზე საუკეთესო ჯერ
არდამიმახსოვრებია.
სულმგონია, რომ ჯერ კიდევ
მელოდება ის,
განუმეორებელი წამი -
ყველა წამთაგან განსაკუთრებული,
რომელიც უნდა დავიმახსოვრო.
მანამდე კი,
უზარმაზარი ღილებივით თვალებს
ვაცეცებ და ყოველთვის მგონია, რომ
თავიდან ვიბადები.
დედაჩემმა კი,
თვალები რომ ამომიქარგა,
არც კი იცოდა ალბათ,
მარადიულად მეოცნებე რომ
ვიქნებოდი.
ან ეგებ გრძნობდა დედური გუმანით
და რომ ავერიდებინე მოსალოდნელ
განსაცდელებს,
მკვეთრად ყავისფერი, ანუ
მიწისფერი ცა მიტომაა ჩემი
თვალები
ასეა თუ ისე,
სულ მგონია ძარღვებში მზემდის,
ხოლო თვალებში ცა ჩამეღვარა
ვოცნებობ ანუ ვიგონებ ამბებს
საკუთარი სულის გადასარჩენად და
ასეთ დროს ღიმილი ყველაზე უებრო
წამალია.
რაც დრო გადის, ვხვდები,
რომ სიჯიუტე ჩემში ევას მოდგმის
უტყუარი ნიშანია.
სიყვარულიც გამოვიგონე
როცა ერთი გამოვიგლოვე,
შევეცადე, რომ ახალი
გამომეგონებინა
სულაც არ ყოფილა ძნელი -
ოღონდ სახალხოდ
ვიღაც ყოველთვის
მზადაა გადამიაროს
გადასარჩენად კი სიყვარულია
საჭირო,
თუნდაც გამოგონილი
დედაჩემმა ამ დროს მუქი ყავის-
ფერი თვალები ამომიქარგა და ახლა
ვეღ არ მოვიმიზეზებ, ვერ ვხედავ
მეთქი.
ბებიაჩემის დრაფის პალტოს ვეება
ღილებს მიმიგავს ეს ამოქარგული,
მიწისფერი თვალები და
ისე ვუყურებ ყველაფერს, თითქოს
პირველად ვხედავდე
ვუყურებ, რომ სამუდამოდ დავი-
მახსოვრო,
როგორც იმქვეყნად წასაღები
განსაკუთრებული მზითევი
ოდესღაც ბრმა თოჯინა ვიყავი,
ახლა კი დედამ მიწისფერი
თვალები ამომიქარგა,
რომელშიაც მუდამ მეღვრება ზეცა

პაპუნა ფირცხალაიშვილი

ლელო ბურთი - ფუხუთი

ვიდრე უფრის მესამედი ხასანბეგზე
იმღერებდეს,
ვიდრე იმნაიშვილებში განსხვავებულს
დავისხამთ,
მიდის გაწევ-გამოწევა ამ ღელიდან - იმ
ღელემდე,
ხალხი წარსულს იხსენებს და ღელეც
ყვება თავისას.
ყვება ერთი დამეორე ეჩრება და
ესარჩლება,
ქვიდან ქვაზე ხავსს მიჰყვება, იპარება,
გადადის
წყალი ამ დღეს ეს სოფელი ისტორი
ის მესაჭვა,
თავის ზნე-ჩვეულებით და თავის წესი-
ადათით.
ბრძოლაც იყო, ჟინიც იყო... დაბადებაც
უნანიათ,
დანებებაც უცდიათ და ომში გვყავდა
ცოლი და ცოლისდაც და ამიტომაც
გასაკვირი თუ რამეა,
გაიკვირვე. ტრადიცია შუხუთფერდის
ბრძოლიდან
მოგვყვება. თუგურიაში მოხვედრილხარ,
ამღერებ მტერს,
აიშლები: ლომად, ვეფხვად, ხარად,
ჯიხვად, აფთარად.
მიდის გაწევ-გამოწევა იმ ღელიდან -
ამ ღელემდე,
და ოსმალთა უშნო მოდგმა კვლავ
შეგვძახის „აბდალაჰ“.
კიდევ რაღაც მინდა აქვე განვმარტო და
დავამატო,
სოფლის ბოლოს ღელეების შეერთება -
ჰობია,
თუმცა შტერი ამბობს: „ბევრი, არ
უხდება დავა მათო“,
მე კი - („ქვემო“ თუ მოიგებს), ვამბობ
„ზემო“ ჯობია.
მიზანია მახსოვრობა, რა დიდება, რა
პატივი,
ატირდება ქვრივი დედა, რომ გაიგოს
წლები აქვს
თუ როგორი გამოვლილი, ყაჩაღ კაკოს
ნაბადივით
ამ მიწას და გაჟღენთილი მხოლოდ
ჩვენი ძვლებია
სისხლით. სისხლი ბროწეულის,
სისხლი ქრისტესისხლასი და
სისხლი გადამისხით მაინც დასიცხული
დაისის,
რადგან მე ვარ იმ სოფლიდან, იმ
ხალხიდან, იმ მასიდან,
გიჟებს რომ ეძახიან და ვირმა აბა, რა
იცის...
ვიდრეს უფრის მესამედი
კრიმანჭულსაც იმღერებდეს,
მიდის გაწევ-გამოწევა ამ ღელიდან - იმ
ღელემდე.

რეზი ცინცაძე

58 !

მზე ისევ ისე ადგება კალოს,
როგორც ხიფათი ძირძველ
პაპუასს,
იქნებ ოდესმე შენ შემიყვარო,
როგორც ბებიას უყვარს ბაბუა...
მზე წამოწვება აქვე თავლაზე,
მას არ ჩვევია ჩრდილში მიფარვა,
ჩუმად ბავშვობა ჩემში დავრაზმე
და სიმინდივით, გრძნობებს ვიპარავ
და ამტვერდება მერე გზაშარა,
მშრალი სულ მუდამ წვიმის
ლოდინში,
თუ კი ღრუბელმა ფრთები
გაშალა,
თუ მოიხადა წვიმამ ბოდიში,
დაიბერება განცდით ზვინები,
(მწვანე მინდვრების ყვითელი
მკერდი)
თჰე ცა ყეფით და უტყვი გინებით
ცას მოაშორებს ტყვიისფერ
მერდინს.
არ დასველდება წვიმით კვირტები,
მიუხედავად ჩემს სულს გაუარს,
ისეთ სიყვარულს ვერ დაგპირდები-
როგორც ბებია უყვარს ბაბუას..

ნახატის ავტორი: დიანა თევზაძე



ასეთ დილას

თითქმის ყოველთვის ასეთ დილას,
როცა დღე ღამის ლანდს გონით
აქრობს,
რა ვქნა ძვირფასო ასეთი ვარ,
ოთახში დავდივარ-ვფორიაქობ.
წვიმა კი შავთეთრი გაზეთია,
(ხანდახან სამყარო ასეც ტირის)
რა ვქნა ძვირფასო ასეთი ვარ,
ძველი რითმებივით გაცვეთილი.
თითქმის ყოველთვის ასეთ დილას,
როცა წვიმითაა სავსე ტბები,
რა ვქნა ძვირფასო ასეთი ვარ,
ოთახში დავდივარ- მენატრები.
ფოთლები ეყრება ასათიანს,
ქუჩებმა სიგიჟე შემიფარდეს,
რა ვქნა ძვირფასო ასეთი ვარ,
იქნება თავიდან შეგიყვარდე.
ირგვლივ სინათლის ხაზებია,
ოთახი დავტოვე შენი ხათრით,
რა ვქნა ძვირფასო ასეთი ვარ,
ფანჯრიდან მიწამდე შემიყვარდი.

თემურ მარშანიშვილი

სიზმარი თოვლში

ცას გაეყარა მთვარე,
მიწას ესტუმრა თოვლი,
სიზმართა ოკეანე
ძილში აზვირთდა მგონი...
ფსკერს მოქცეულა თითქოს
„დიდი დათვი“ და „ხომლი“
ვითვლი: აქ, თოვლის ზემოთ
რამდენი დარჩა კომლი.
მივყვები სანდო ბილიკებს,
რას ვკარგავ არას მქონი?!
ბარში სიმსუქნე ვაგროვე,
მთაში დავყარე ქონი.
— გამოღმით რა დაგრჩენია?!
მხოლოდ გაღმაა ფონი, —
ჰგონია, ჭკუას მასწავლის,
ჩერჩეტობს გრამაფონი.
ვაჩუქებ, ვისაც უნდა,
წავიდა ძველი დრონი,
არა, მეტს აღარ დავქოქავ,
არ მომწონს მაგის ტონი.
მძიმეა ძველი მუსიკა,
ხრინწიანი და მჭოლი,
გავატან, რომ ჩამოივლის
მთიდან მშიერი ქორი.
უეცრად ისე იჭექა,
ლამის დავკარგე გონი,
რა ჰანგი, რის მუსიკა?
ზეცა გაიხსნა მგონი:
მოდის თოვლივით ქალი,
თოლს გამისწორა თოლი,
ვაი, ამას რომ ხედავდეს,
რა დღეს დამაყრის ცოლი!
შევეხე, თვითონც შემეხო,
თოვლში დაგვდინდა ბოლი,
ამდენ ხვევნა და ამბორში
ქე გავიტანეთ გოლი...
თვალს ვახელ, იზმორება
რაფაზე სიზმრის ზოლი,
რა კარგია, რომ არ ღვიძავს,
ძილისგუდა მყავს ცოლი...

მთვარე მახარბებს ტუჩებს...

ყინვა სარკეს ფენს ქუჩებს,
ქარაშოტად ქრის გონი,
მთვარე მახარბებს ტუჩებს,
ჭკუიდან შემშლის მგონი.
პირმშვენიერობს მავრი —
ღამე მიჯნურთა ფსონი,
მარტოობით წუხს მამრი,
მდედრის დარდს რას ავწონი.
ბედმა დამადო მსჯავრი,
გამხადა არას მქონი,
შემჭამს ამ ფსონთა ჯავრი,
მჭლე ვიქნები თუ ქონი.
თაბახს ამოვდე თარგი,
გავავლე ლექსის ზოლი,
ცეცხლმა დაგიწვა მაგი!
— ქოქოლას მაყრის ცოლი.
გახვეული სხვის ხალათში,
ხან მძინარე, ხან მძრწოლი,
გამომიჭირა ღალატში,
პოეტი ლექსთან მწოლი...
ყინვა სარკეს ფენს ქუჩებს,
ქარაშოტად ქრის გონი,
მთვარე მახარბებს ტუჩებს,
დილამდე შემშლის მგონი...

ოთარ გობრონიძე

მამის მხრიდან წარმოშობით ოზურგეთელი (სოფ. ლიხაური), დედით კი აკაკის გამზრდელი სადუნიშვილების შთამომავალი იყო. პროფესიით გეოლოგი მუშაობდა ერაყსა და სირიაში. იყო მწერალთა კავშირის წევრი. მისი მოთხრობების პირველი და ერთადერთი კრებული „თეა“ 1963 წელს 10 000 ტირაჟით გამოიცა ვახტანგ ჯავახაძის რედაქტორობით.

ოთარ გობრონიძის ნოველების მიხედვით მარჯანიშვილის თეატრში დადგმა განახორციელა რეჟისორმა არჩილ ჩხარტიშვილმა.

ოთარ გობრონიძე 1977 წელს, 46 წლის ასაკში ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

ედელვაისი

–ჟან, გძინავს?

–ჰო, მძინავს.

–არც მე მეძინა. იცი რაზე ვფიქრობ, ჟან?

–არ ვიცი.

–ხვალინდელ დღეზე, მწვერვალი უკარება ჩანს.

–დაიძინე და ყველაფერი კარგად იქნება...

ჟანი საძილე ტომარაში შეინძრა, ეტყობა მეორე მხარეს გადატრიალდა.

-ჟან!

–რა?

–სულ აღარ გიყვარვარ, ჟან?

–მიყვარხარ, მარი. შენ ხომ ლიზის და ხარ, მე შენი სიძე. როგორ არ მიყვარხარ. იცი, მარი, ლიზიმ ყელსახვევი გამომატანა, მწვერვალზე უნდა დავტოვო.

–ო...–კვნესის მარი, –გახსოვს, ჟან, ედელვეისები? მაშინ არ იცოდი ვინ იყო ლიზი. ასე ვიწევით კარავში მაშინაც, ეს იყო ალპებში, მონტეროზას მისადგომებთან. მე მეძინებოდა. შენ არ მაძინებდი და მელაპარაკებოდი. მე ყურს გიგდებდი, ამიტომ რომ ძალიან მიყვარდი. შენ მითხარი:

–იცი, მარი, აქ უკვე იქნება ედელვეისები, გინდა მოგიტან პატარა თაიგულს?...

მე საძილე ტომრიდან ხელი ამოვაძვრინე, თმა მოგქაჩე და გითხარი:

–სულელო ბიჭო, დაიძინე...

შენ არაფერი გითქვამს. მე მეძინა. სიზმარში შენ გხედავდი...დილით, როდესაც ბანაკი აიშალა და ჩვენც ავდექით, თავთან ედელვეისების პატარა თაიგული მედო. შენ კი ხელები გქონდა გაკაწრული, ფრჩხილებზე სისხლი შეგხმობოდა.

ძალიან გიყვარდი, ჟან...

ცრემლები გადმომცვივდა დიდი სიხარულისაგან, ვტიროდი, ბედნიერებმა რომ იციან ხოლმე –ისე. ეჰ..ეს იყო არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, ალპებში, მონტეროზას მისადგომებთან. არა, ჟან? გძინავს?

–არა, მარი...

–გახსოვს პტი-დრიუ, ჟან?ტრავერსის წინ მე ფეხი ვიტკინე. შენ არ გინდოდა ჩემი დატოვება. მე არ ვქენი.წასვლის წინ ყელსახვევი გამოგართვი და კისერზე გაიკეთე. ძნელი იყო ტრავერსი. მაშინ დაიღუპა რობერი, ჩვენი „მთის ლომი“, ფილიპი მძიმედ დაშავდა. დაბრუნებულმა მითხარი:

–შენს ყელსახვევს მივყავდი ზევით. შენმა ყელსახვევმა გამომიყვანია უვნებელი.

გახსოვს? შენ არაფერი არ გახსოვს ჟან, მე კი ისიც მახსოვს, საბედისწერო საღამო...

„ალპია“ ექსპედიციის დამთავრებასთან დაკავშირებით დარბაზობას გვიმართავდა. მე ჩემს სარკის წინ ვტრიალებდი და ვერ გადამწყვიტა, რომელი კაბა ჩამეცვა.

ბუდუარში ლიზი შემოვიდა. ლიზიმ მირჩია ჩამეცვა შინდისფერი კაბა თეთრი წინწკლებით, შენს სიდამწვრეს მოუხდებაო, –მითხრა. კაბა მართლა ძალიან მომიხდა. მადლობის გრძნობით შევხედე ლიზის. ლიზი ადგა თვალებგაბრწყინებული და იყო ძალიან ლამაზი. ვუყურებდი და თვალს არ ვუჯერებდი, დაქალებულიყო ჩემი პატარა დაიკო, ტანი აეყარა, მკერდი შევსებოდა. ძალიან მომინდა ჩემთან ერთად ყოფილიყო ლიზი საღამოზე. ალბათ იმიტომ, რომ ლიზი იყო ძალიან ლამაზი და მე შენი მჯეროდა.

„ალპიას“ წინ მანქანები ირეოდა. უკვე მოსულიყვნენ მეცენატები, კლუბის მმართველობა და წევრები. კარებთან შენ დაგვხდი. შავი კოსტიუმი გეცვა, ის ჰალსტუხი გაგეკეთებინა, მე რომ გიყიდე დაბადების დღეს. მე გაგაცანი ლიზი. ლიზი გაწითლდა. მე შენ შემოგხედე. გულში ტკივილი ვიგრძენი, ვინანე, არ უნდა წამომეყვანა ლიზი..

–გეყოფა მარი, რა საჭიროა ძველის გახსენება...

–საჭიროა, ჟან, ამიტომ, რომ შენ არაფერი გახსოვს, მე კი არაფერი დამვიწყებია, უმნიშვნელო წვრილმანიც კი...

იმ საღამოს ლიზის არ მოშორებიხარ. იმასთან ცეკვავდი. ჩემი არსებობა ორივეს დაგავიწყდათ. მე ფიქრის ნებას არ ვაძლევდი თავს. ვიცინოდი, ვსვამდი ბორდოს და შამპანურს, ღიმილით ვღებულობდი დიდმუცლიანი მეცენატების ქათინაურებს. თქვენ კი ცეკვავდით. ერთმანეთის მეტი არავინ გახსოვდათ და ვერავის ამჩნევდით. მერე დარბაზიდან გაუჩინარდით...

კლუბიდან წამოვედი მარტო. იყო ღამე, ცაზე უზარმაზარი მთვარე მიცურავდა, ძალიან ყვითელი და ძალიან სევდიანი. ჩემი სულივით დაცარიელებულიყო მონ-მარტრი, იგი უზარმაზარ სასაფლაოს ჰგავდა, მე – ჭირისუფალს, რომელმაც ახლა მიატოვა ძვირფასი ადამიანის საფლავი, ვგავდი ადამიანს, რომელმაც ყველაფერი დაკარგა. რა გავაკეთო? სად წავიდე? ვფიქრობდი და წინ ვერაფერს ვხედავდი, თითქოს ყველა გზა გადაეკეტათ ჩემთვის. არ მახსოვს, როგორ მივედი სახლში. მახსოვს, იყო გვიანი და არ იყო სახლში ლიზი. დავწექი და ცრემლებს თავისუფლება მივეცი...

ლიზი მოვიდა გათენებისას...

დაიწყო საშინელი დღეები. არ მეგონა, თუ არსებობდა ისეთი ძალა, რომელიც იმედის ნაპერწკალს შეიტანდა ჩემს ცხოვრებაში, ყველგან შენს თვალებს ვხედავდი,შენი თმის სურნელს ვგრძნობდი, ყურში კი შენი ჩურჩული მესმოდა:

–იცი, მარი, აქ უკვე იქნება ედელვაისები, გინდა, მოგიტან პატარა თაიგულს?

მერე დაკაწრული ხელები, ფრჩხილებზე შემხმარი სისხლი და მწარე შეგრძნება, რომ ისინი მე აღარ მეკუთვნოდა.

მეც ვხდებოდი ყოველდღე კაბარეებში, მაგრამ არ ვიცი –ვის, რადგან ყოველდღე სხვადასხვანი იყვნენ; ღვინითა და კონიაკით გაბრუებული მივჩერებოდი ჩემს ღამის მეგზურს და შენ გხედავდი...

ჩემს ამბავს ერთი ადამიანი განიცდიდა მხოლოდ, ეს იყო კეთილი ფილიპი. იცოდა მიზეზი და მამშვიდებდა:

–ყველაფრის წამალი დროა, მარი, დრო გაგკურნავს, სხვა მკურნალი ამჟამად უძლურია შენთან. ცხვრება თავისას მოითხოვს. ერთი თვის შემდეგ რომ გაგახსენდება, ცრემლს დაღვრი, გული დაგწყდება და მწარედ ამოიოხრებ, ათი წლის შემდეგ კი ყველაფერი სიზმარივით გაგახსენდება. დამიჯერე მარი, ადამიანი ასე ყოფილა გაჩენილი. ბუნება თავისას მოითხოვს და შენც უნდა დამორჩილდე, რადგან უკან მოსახედავად დრო არ გვრჩება. ყველაფერი ისე რომ იყოს ქვეყანაზე, სენტიმენტალურ რომანებში რომ სწერია, საცოდავი იქნებოდა ცხოვრება...

შენ და ლიზიმ ჯვარი დაიწერეთ...

–მარი!

–არა, ჟან, მეტს არაფერს გაგახსენებ. შენ მართალი ხარ, რა საჭიროა ძველის გახსენება, რად ღირს ამბავი, რომელიც დრომ გაცვითა. არაფრად. გმადლობთ, ჟან, ყურს რომ მიგდებდი, მე არ მეძინება და ლაპარაკი მინდა.

–ხვალ გაგიჭირდება, მარი.

– არ გამიჭირდება, მე ახლა ისეთ ძალას ვგრძნობ, როგორც არასდროს...–ისინი ლაპარაკობდნენ ჩუმად, რადგან კარავში სხვებსაც ეძინათ. მარის ლაპარაკი უნდოდა, ამიტომ არ ასვენებდა ჟანს.

–ჟან!

–რა გინდა, მარი?

–ნუ დაიძინებ რა! იცი, მე ძალიან მომწონს ჩვენი სტუმრები. ჩეფხანი მთიელი ყოფილა. ამიტომ არის მთასავით მაღალი. თემური თბილისელია. იცი, ჟან, ჩვენ ძალიან დავმეგობრდით. თემურმა შესანიშნავად იცის ფრანგული და მოსწონს ჩვენი ქვეყანა, მაგრამ არ მოსწონს იმპერსიონისტები, გუშინ მთელი დღე ვიკამათეთ...

–კარგები არიან! –გამოცოცხლდა ჟანი, საუბრის თემა რომ შეიცვალა– იცი, რა, მომავალ წელს საქართველოში მიგვიწვიეს უშბაზე...

–გაისად?

–ჰო, გაისად.

–უშბა და ჩეფხანი ალბათ ერთმანეთს ჰგვანან...

–ჩეფხანი უშბის ძირში ცხოვრობს თურმე.

–ჟან, როგორ ფიქრობ, ავალთ? ათასორასმეტრიანი კედელი არსად შეგვხვედრია.

–ავალთ, თუ ამინდი იქნება. ფილიპი ორჯერ არის ნამყოფი მწვერვალზე. ეს ქართველებიც მარჯვე ბიჭები ჩანან.

–არ გეშინია, ჟან?

–დაიძინე, მარი, საცაა გათენდება.

–კარგი, ჟან...

ჟანი ისევ გადატრიალდა. მარი შესცქეროდა კარვის ჭერს. ჟანს უკვე ეძინა. მარი ფიქრობდა. გარეთ, თითქოს ცას სწვდებაო გრანდ - ჟორასის ათასორასმეტრიანი კედელი.

(გაგრძელება იქნება)

საბავშვო ლექსები

ნოდარ დონაძე

ხანდახან

ზოგჯერ ვნატრობ, ვიყო მარტო,
რომ გავშორდე ქვეყნად ყველას,
ვიყო ჩემთვის, სადღაც ქოხში
თუ გინდ მთაში, თუ გინდ ველად.

ხან დავეძებ სასურველ კაცს,
კეთილშობილს, მოყვასს, სანდოს,
მას გავუმხელ გულის ტკივილს,
რას ვფიქრობ და რაზე ვდარდობ.

ხან ვინატრებ, რომ შემეძლოს
ავიქროლო ცაში, მაღლა,
ენერგიით ვიყო სავსე,
არ ვიცოდე, რაა დაღლა.

ხანაც მეტად ანთებული
სიხარულით მიძგერს გული,
ხან ვსულდგმულობ სულ სხვა განცდით,
ცხოვრებისგან დაღდასმული.

ყმაწვილობის ბილიკებზე
ფიქრებში კვლავ ვიარები,



ხანაც მინდა დავივიწყო
ტკივილი და იარები.

ხშირად ძალობს პოეზია,
სული ეტრფის გულწრფელ ლექსებს,
მაშინ ვეძებ სიტყვებს მზიანს,
სიტყვებს გულზე რომ აკვესებს.

ხანმოკლეა ჩვენი ყოფა,
წუთიერი გაელვება,
ჩვენ კი გვინდა ქვეყნად ყოფნა,
მაგრამ გული იფერფლება.

საქართველოა ჩემი პარტია

პოლიტიკური ჯგუფი, ფრაქცია
საქართველოში მომრავლდა ბევრი,
მე არ ვეკუთვნი არც ერთ პარტიას,
არ ვარ არც ერთი პარტიის წევრი.

რითაც ვსულდგმულობ, რაც
მინატრია,
ჩემს იმედად და რწმენად ანთია,
გულის ფიცარზე ის მახატია
და იგი ჩემთვის მართლაც ხატია.

კვლავ ვემსახურო, გულით მწადია,
ჩვენს სასიკეთოდ ზრუნავს, ცხადია,
მისთვის არასდროს მიღალატია,
საქართველოა ჩემი პარტია.!

გამოიწერეთ, შეიძინეთ, იკითხეთ „ლიტერატურული გურია“

ხელმოწერის ფასი

წლიურად – 6 ლარი,

საცალო ფასი – 50 თეთრი.

„ლიტერატურული გურია“ – გურიაში მცხოვრებ ლიტერატორთა და ქართული ლიტერატურის მოყვარულთა გაზეთი!

რედაქტორი: თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru ტელ: 599 373515

მრეწველობის განვითარება საქართველოში

იბეჭდება ექსკლუზიური უფლებით



ბამბეულის საფეიქრო მრეწველობა.

1870 წელს თბილისელმა მსხვილმა ვაჭარმა გ. მ. მირზოევმაბამბეულის ძაფსახვევი ფაბრიკა დაარსა, რომელიც უახლესი ტექნიკით იყო აღჭურვილი, მანქანები და ინსტრუმენტები დიდი ბრიტანეთიდან გამოიწერეს, დიდი ბრიტანეთიდანვე ჩამოიყვანეს ოსტატები და ტექნიკური პერსონალი, რომლებიც პირველ ხანებში ხელმძღვანელობდნენ მთელ საწარმო პროცესს. 1870 წელს ფაბრიკაში დაახლოებით 400 მუშა იყო დასაქმებული, 1871 წელს – 450, 1872 წელს – 500. 1872 წლის განმავლობაში მუშათა რიცხვი გაზრდილა და წლის ბოლოს ფაბრიკას უკვე 800 მუშა ჰყოლია. გ. მ. მირზოევის ფაბრიკა სართავი და საქსოვი განყოფილებებისაგან შედგებოდა. ფაბრიკაში ამზადებდნენ: რიფსს, ფლანელს, ტილოს, მიტკალს. XIX საუკუნის 70-80-იან წლებში ფაბრიკა ძირითადად ერევნის გუბერნიიდან შემოტანილ ნედლეულზე მუშაობდა და წელიწადში 25.000-30.000 ფუთ ბამბას ამუშავებდა, ამზადებდა დაახლოებით 25.000-30.000 ფუთ მიტკალს (1 ფუთი მიტკალი დაახლოებით 164 კვადრატულ არშინს უდრიდა და 18-20 მანეთი ღირდა). ფაბრიკის წლიური პროდუქცია 500.000 მანეთს უდრიდა. XIX საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებისათვის ფაბრიკაში 3 დიდი სიმძლავრის ორთქლის მანქანა მუშაობდა, მოქმედებდა 11.000 თითისტარი და 300 საფეიქრო დაზგა. თავდა-პირველად მუშები ხელფასს თვიურად იღებდნენ, შემდეგ ისინი სანარდო სისტემაზე გადაიყვანეს, სამუშაო დღე დილის 7 საათიდან საღამოს 8 საათამდე გრძელდებოდა, შუადღისას მუშები სადილისათვის მცირე ხნით ისვენებდნენ. ფაბრიკის დაარსებიდან მესამე წელს გ. მ. მირზოევმა დიდი ბრიტანელი სპეციალისტების მნიშვნელოვანი ნაწილი უკანვე გაისტუმრა, 1872 წელს ფაბრიკაში სულ ხუთიოდე ინგლისელი მუშაობდა. ინგლისელი სპეციალისტების წასვლა ფაბრიკას დიდად დაეტყო: გახშირდა უბედური შემთხვევები, რომელთა ნაწილი სიკვდილით მთავრდებოდა. ხშირად ზიანდებოდა ტექნიკა, მანქანა-იარაღებს კი დიდი ბრიტანეთიდან იწერდნენ. ამ და სხვა მიზეზთა გამო XIX საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან გ. მ. მირზოევის ფაბრიკა წამგებიანი გახდა. 1880 წელს მეპატრონემ ფაბრიკა ივკარით გადასცა ფრანგ **ირიშარს.**

ი.რიშარი უნარიანად გაუძღვა საწარმოს, საფრანგეთიდან შემოიტანა ახალი მანქანა-იარაღები, მოიყვანა გამოცდილი მუშები. რიშარმა მიაღწია იმას, რომ კავკასიის არმიისათვის მიტკლის მიწოდების ივკარა მიიღო, რამაც დიდი მოგება მოუტანა. 1886 წელს რიშარსა და მირზოევს შორის დადებულ ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა, რის შემდეგაც ამ უკანასკნელმა ივკარის გაგრძელება აღარ ისურვა და თვითონ მოჰკიდა ხელი წარმოებას. გ. მ. მირზოევი თბილისელ მუშებს ხელფასის ოდენობის შესახებ ვერ შეუთანხმდა, რის გამოც პოლონეთის ქალაქ ლობიდან გერმანელ ფეიქართა 30 ოჯახი (94 სული) ჩამოიყვანა. მირზოევმა ფაბრიკა მომგებიანად მაინც ვერ აქცია, მალე საწარმო რეალურ ღირებულებაზე გაცილებით დაბალ ფასად (210.000 მანეთად) **ი. აჩითახოვმა** შეისყიდა.

XX საუკუნის დამდეგიდან თბილისში ბამბის სართავი და საფეიქრო წარმოება კარგა ხნით შეწყდა, რადგან რუსეთიდან შემოტანილი პროდუქციის კონკურენციას ვერ გაუძლო. რამდენიმე წლის შემდეგ ძმებმა **მაჰმუდბეგოვებმა** თბილისში ბამბა-ქსოვილის ფაბრიკა აამუშავეს, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე მუშაობდა.

9. თამბაქოს ფაბრიკები. თამბაქოს გადამმუშავებელი საწარმოები თბილისში ჯერ კიდევ XIX საუკუნის 50-იანი წლების დამდეგს ჩნდება. ამ დროიდან როგორც მეთამბაქეობა, ისე თამბაქოს მრეწველობა სწრაფად ვითარდება. 1873 წლიდან ამერკავკასიაში ამოქმედდა აქციზის იგივე სისტემა, რომელიც რუსეთის შიდა გუბერნიებში მოქმედებდა და რამაც დიდად შეაფერხა თამბაქოს მრეწველობის განვითარება. დაბეგვრამ გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა თამბაქოს შინამრ-ეწველურ, კუსტარულ საწარმოებს, რომლებიც იმხანად საკმაოდ დიდი რაო-დენობით იყო. თამბაქოს გადამმუშავებელმა კაპიტალისტურმა საწარმოებებმა, როგორებიც იყო, მაგალითად, 1852 წელს დაარსებული **აენფინჯიანცისა** და 1858 წლიდანმოქმედი **ნ. ბოზარჯიანცის** ფაბრიკები, აქციზის შემოღება, ასე თუ ისე, უმტკივნეულოდ გადაიტანეს. წვრილი შინამრეწველური, კუსტარული საწარმოების დახურვის შემდეგ ხსენებულმა თამბაქოს ორმა ფაბრიკამ წარმოება მნიშვნელოვნად გააფართოვა და დიდი მოგებაც ნახა. 1886 წლისა-თვის თბილისის გუბერნიაში თამბაქოს გად-ამმუშავებელი 8 ფაბრიკა მუშაობდა, 7 – თბილისში, 1 – ახალციხეში. თბილისის შვიდივე ფაბრიკაში 619 მუშა იყო დასაქმებული.

XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე ა.ენფინჯიანცისა და ნ. ბოზარჯიანცის ფაბრიკები, ფაქტობრივად, მანუფაქტურის ტიპის საწარმოები იყო. მხოლოდ 80-იანი წლების ბოლოდან ამ ფაბრიკებში გაჩნდა მექანიკური დაზგები, რამაც გადატრიალება მოახდინა თამბაქოს წარმოებაში. თამბაქოს ფაბრიკებში სამუშაო დღე 12-14 საათამდე გრძელდებოდა, შენობა, რომელშიც საწარმოო პროცესი მიმდინარეობდა, არ ნიავდებოდა, ორთქლით გაჟღენთილ შენობაში მუშაობა უკიდურესად მძიმდებოდა, ხელფასი გაიცემოდა ყოველკვირეულად და საშუალოდ დღეში 3,5–6 მანეთს უდრიდა. ფართოდ იყო გავრცელებული არასრულწლოვანთა შრომის გამოყენება. 1886 წელს თბილისის გუბერნიაში არსებულ თამბაქოს 7 ფაბრიკაში დასაქმებული 619 მუშიდან 100 არასრულწლოვანი იყო, კერძოდ, ნ.ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკაში მომუშავე 260 კაციდან50 არასრულწლოვანი მუშაობდა, ხოლო ა.ენფინჯიანცის (შემდეგში საფაროვის) საწარმოში 100 მუშიდან მცირეწლოვანი იყო 15. თამბაქოს ფაბრიკების მოწინავე ტექნიკით აღჭურვის შემდეგ მფლობელისათვის უფრო მომგებიანი გახდა ბავშვთა და ქალთა შრომის გამოყენება.

XIX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში ა.ენფინჯიანცის თამბაქოს ფაბრიკაში დაიდგა მექანიკური დაზგა და ოტტოს სისტემის ძრავი. მალე მექანიკური დაზგებითა და ახალი ძრავებით აღიჭურვა სხვა ფაბრიკებიც. თუ წინათ ხელის დაზგით 1 ფუთი თამბაქოს დაჭრა ფაბრიკის მეპატრონეს 1 მანეთი და 50 კაპიკი უჯდებოდა, მექანიკური დაზგის ამუშავების შემდეგ ეს ხარჯი 45-50 კაპიკამდე შემცირდა. მექანიკურმა დაზგამ და ოტტოს სისტემის ძრავმა შრომის ნაყოფიერება 8-ჯერ გაზარდა, ამიერიდან 8 მუშის საქმეს 1 მუშა აკეთებდა. ასე გადაიქცა თამბაქოს გადამმუშავებელი მანუფაქტურის სისტემის საწარმოები კაპიტალისტურ ფაბრიკებად. ამ პროცესის საილუსტრაციოდ მოვიხმობთ ამერკავკასიის თამბაქოს გადამმუშავებელი ფაბრიკების ტექნიკური აღჭურვილობის მაჩვენებელ სტატისტიკურ მასალას:

1. **1891 წელი.** ხელის დაზგა ძრავის გარეშე –116; ხელის დაზგა ცხენის ამძრავით –3, ორთქლის ან აირძრავიანი დაზგა – 10;

2. **1892 წელი.** ხელის დაზგა ძრავის გარეშე –85; ხელის დაზგა ცხენის ამძრავით –4, ორთქლის ან აირძრავიანი დაზგა – 17;

3. **1893 წელი.**ხელის დაზგა ძრავის გარეშე –68; ხელის დაზგა ცხენის ამძრავით –4, ორთქლის ან აირძრავიანი დაზგა – 25;

4. **1894 წელი.** ხელის დაზგა ძრავის გარეშე –66; ხელის დაზგა ცხენის ამძრავით –4, ორთქლის ან აირძრავიანი დაზგა – 25;

5. **1895 წელი.**ხელის დაზგა ძრავის გარეშე –49; ხელის დაზგა ცხენის ამძრავით –1, ორთქლის ან აირძრავიანი დაზგა – 29;

6. **1896 წელი.** ხელის დაზგა ძრავის გარეშე –37; ხელის დაზგა ცხენის ამძრავით –1, ორთქლის ან აირძრავიანი დაზგა – 34;

7. **1897 წელი.** ხელის დაზგა ძრავის გარეშე –32; ხელის დაზგა ცხენის ამძრავით –1, ორთქლის ან აირძრავიანი დაზგა – 36;

8. **1898 წელი.** ხელის დაზგა ძრავის გარეშე –31; ხელის დაზგა ცხენის ამძრავით –1, ორთქლის ან აირძრავიანი დაზგა – 38;

9. **1899 წელი.** ხელის დაზგა ძრავის გარეშე –27; ხელის დაზგა ცხენის ამძრავით –2, ორთქლის ან აირძრავიანი დაზგა – 40;

10. **1900 წელი.** ხელის დაზგა ძრავის გარეშე –23; ხელის დაზგა ცხენის ამძრავით –1, ორთქლის ან აირძრავიანი დაზგა – 43;

როგორც ვხედავთ, ხელის დაზგების რაოდენობა ყოველწლიურად მცირდებოდა. თუ 1891 წელს ამერკავკასიის თამბაქოს ფაბრიკებში 116 ხელის დაზგა იდგა, 1900 წლისათვის მხოლოდ 23 შემორჩა, ე.ი. შემცირდა დაახლოებით 5,5-ჯერ. სამაგიეროდ, დიდი სისწრაფით მრავლდებოდა ორთქლისა და აირძრავიანი დაზგები: თუ 1891 წელს ორთქლის ან აირძრავიანი მხოლოდ 10 დაზგა იყო, 1900 წელს უკვე ასეთი 43 დაზგა მუშაობდა. ე.ი. მათი რიცხვი 4,3-ჯერ გაიზარდა.

1900 წლამდე პაპიროსის სიგარები მხოლოდ ხელით მზადდებოდა. ამ წელს პირველად ამერკავკასიაში გაჩნდა სიგარების მკეთებელი პირველი 5 დაზგა,რომელთა რაოდენობა შემდგომ, მათ შორის თბილისში, უფრო გაიზარდა.

თბილისისა და ამერკავკასიის თამბაქოს სხვა ფაბრიკებში დამზადებულ პროდუქციას XIX საუკუნის 80-იან წლებში დიდ კონკურენციას უწევდა რუსეთიდან, კერძოდ დონის როსტოვიდან, შემოტანილი საქონელი, რომელიც, როგორც სიიაფით, ისე ხარისხით აღემატებოდა ადგილობრივ ნაწარმს.

ამერკავკასიაში თამბაქოს წარმოების ცენტრები იყო: თბილისი, ბაქო, ქუთაისი, ბათუმი. გუბერნიების მიხედვით, 1900 წლისათვის თამბაქოს წარმოება ასეთ სურათს იძლეოდა(ბათუმის თამბაქოს წარმოების სტასტიკა შესულია ქუთაისის გუბერნიის მონაცემებში):

1. **1891 წელი.** თბილისის გუბერნია: ფაბრიკების რაოდენობა – 7, წლიური პროდუქციის რაოდენობა – 733.400 მანე-თი, მუშების რაოდენობა – 839; ქუთაისის გუბერნიაში –ფაბრიკების რაოდენობა – 4, წლიური პროდუქციის რაოდენობა – 38-0.000 მანეთი, მუშების რაოდენობა – 161;

2. **1896 წელი.** თბილისის გუბერნია: ფაბრიკების რაოდენობა – 6, წლიური პროდუქციის რაოდენობა – 1.215.000 მანეთი, მუშების რაოდენობა – 1.023; ქუთაისის გუბერნიაში –ფაბრიკების რაოდენობა – 4, წლიური პროდუქციის რაოდენობა –144.000 მანეთი, მუშების რაოდენობა – 174;

3. **1902 წელი.** თბილისის გუბერნია: ფაბრიკების რაოდენობა – 5, წლიური პროდუქციის რაოდენობა – 2.070.000 მანეთი, მუშების რაოდენობა – 612; ქუთაისის გუბერნიაში –ფაბრიკების რაოდენობა – 3, წლიური პროდუქციის რაოდენობა – 345.000 მანეთი, მუშების რაოდენობა – 162;

4. **1908 წელი.** თბილისის გუბერნია: ფაბრიკების რაოდენობა – 3, წლიური პროდუქციის რაოდენობა – 1.045.600 მანეთი, მუშების რაოდენობა – 444; ქუთაისის გუბერნიაში –ფაბრიკების რაოდენობა – 2, წლიური პროდუქციის რაოდენობა – 92.000 მანეთი, მუშების რაოდენობა – 142;

5. **1912 წელი.** თბილისის გუბერნია: ფაბრიკების რაოდენობა – 4, წლიური პროდუქციის რაოდენობა – 176.900 მანეთი, მუშების რაოდენობა – 276; ქუთაისის გუბერნიაში –ფაბრიკების რაოდენობა – 3, წლიური პროდუქციის რაოდენობა – 136.500 მანეთი, მუშების რაოდენობა – 294;

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ამერკავკასიაში თამბაქოს ფაბრიკების რაოდენობა არ გაზრდილა, პირიქით, შემცირდა კიდეც.

10. ტყავის ქარხნული გადამმუშავებელი საწარმოები. ტყავის ქარხნული გადამუშავება თბილისში 1875 წლიდან დაიწყო, როდესაც **გ. ადელხანოვმა** ამ ტიპის პირველი საწარმო გახსნა. გ. ადელხანოვის ტყავის გადამმუშავებელ ფაბრიკაში 1884 წელს რეკონსტრუქცია ჩატარდა, რის შემდეგაც როგორც ტექნიკური, ისე ეკონომიკური თვალს-აზრისით ქარხანა ერთ-ერთი საუკეთესო გახდა. ქარხანაში იდგა ორთქლის 3 მანქანა ორთქლისვე 3 ქვაბით, საწვავად მაზუთს იყენებდნენ. 1889 წელს ქარხანა ტექნიკურად გადაიარაღდა, ხოლო 1891 წელს ტექნოლოგიურ პროცესში ელექტროდენის გამოყენება დაიწყეს. 1895 წელს გ. ადელხანოვის ტყავის ქარხა-ნასთან ფეხსაცმლის საკერავი მსხვილი სახელოსნო გაიხსნა, რომელშიც თავდა-პირველად 60 ოსტატი მუშაობდა. სახელოსნო მანუფაქტურული ტიპისა იყო, შემდგომ იგი ფეხსაცმლის მექანიკურად მკერავ სახელოსნოდ გადაიქცა, რომე-ლშიც 250 მუშა იყო დასაქმებული. გ. ადელხანოვმა დამზადებული ფეხსაცმლის რეალიზაციის მიზნით თბილისში, ბაქოსა და კავკავში (ვლადიკავკაზში) საწყობები და მაღაზიები გახსნა.

11. აგურის ქარხნები. XIX საუკუნის 70-იან წლებამდე საქართველოში აგურს აწარმოებდა მანუფაქტურული ტიპის ქარხნები. 70-იანი წლების მიწურულს თბილისში თავადმა ხიმშიაშვილმა აგურის პირველი ქარხანა გახსნა. ქარხანაში შრომის პროცესი მექანიზებული იყო. მას ჰქონდა ჰოფმანის სისტემით აშენებული აგურის გამოსაწვავი ღუმელი. 90-იანი წლებიდან თბილისში აგურის ქარხნების რაოდენობა გაიზარდა. მოვიხმობთ სტატისტიკურ მასალას (ბათუმის ოლქისა და სოხუმის ოკრუგის მონაცემები შეტანილია ქუთაისის გუბერნიის მონაცემებში):

1. **1902 წელი.** თბილისის გუბერნიაში არსებული ქარხნების რაოდენობა – 272, წლიური პროდუქცია – 498.000 მანეთისა, დასაქმებული –1.602 კაცი; ქუთაისის გუბერნიაში არსებული ქარხნების რაოდენობა – 208, წლიური პროდუქცია – 59.000 მანეთისა, მუშები – 378 კაცი;

2. **1912 წელი.** თბილისის გუბ-ერნიაში არსებული ქარხნების რაოდენობა – 64, წლიური პროდუქცია – 398-.000 მანეთისა,მუშები –645 კაცი; ქუთ-აისის გუბ-ერნიაში არსებული ქარხნების რაოდენობა –152, წლიური პროდუქცია – 103.000 მანეთისა, მუშების რაოდენობა – 595.

12 ხე-ტყის დამამუშავებელი ქარნები. ხე-ტყის დამამუშავებელი წარმოების ამოქმედება საქართველოსა და მთელ ამერკავკასიაში რკინიგზის გაყვანას უკავშირდება. მსხვილი საწარმოები მუშაობდა ბორჯომში, **დიდ მთავარ მიხაილ რომანოვისა,** ატენსა და ხანდაკში – **ქართველიშვილისა** და **ზეზემანისა,** საჭილაოში – **ოქრომჭედლიშვილისა** და სხვ. ხე-ტყის დამუშავება ცუდად იყო დაგეგმილი. ამაზე მეტყველეებს ისიც,რომ ბათუმში არსებულ ნავთობის ჭურჭლის მწარმოებელ ქარხნებს საჭირო ხე-ტყე ხერსონიდან, რუმინეთსა და ავსტრიიდან შემოჰქონდათ, მაშინ, როდესაც დასავლეთ საქართველოს ტყეებში საუკეთესო ჯიშის ხეები იზრდებოდა. ბაქოს ნავთობის გადამამუშავებელ ქარხნებს საჭირო ხე-ტყე რუსეთიდან შემოჰქონდათ,რის გამოც საქართველოში მოქმედი ხე-ტყის ბაზარი შეზღუდული იყო. ხე-ტყის დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების სტატისტიკა ამგვარ სურათს იძლევა:

1. **1897 წელი.** თბილისის გუბერნიაში არსებობდა ხე-ტყის დამმუშავებელი 81 ქარხანა, რომელთა პროდუქციის წლიური რაოდენობა 417.000 მანეთს შეადგენდა, ქარხნებში 552 მუშა იყო დასაქმ-ებული; ქუთაისის გუბერნიაშიხე-ტყის დამმუშავებელი 23 ქარხანაარსებობდა 316 მუშით, პროდუქციის წლიური რაოდენობა 449.000 მანეთს შეადგენდა;

2. **1902-1903 წლები.** თბილისის გუბერნიაში რეგისტრირებული იყო ხე-ტყის დამმუშავებელი 43 ქარხანა 560.000 მანეთის პროდუქციის წლიური ოდენობით, ქარხნებში 487 მუშა იყო

დასაქმებული; ქუთაისის გუბერნიაშიხე-ტყის დამმუშავებელი 32 ქარხანა მუშაობდა 629 მუშით, პროდუქციის წლ-იური ოდენობა 772.000 მანეთს შეადგენდა:

3. **1908 წელი.** თბილისის გუბერნიაში არსებობდა ხე-ტყის დამმუშავებელი 41 ქარხანა 360.000 მანეთის პროდუქციის წლიური ოდენობით, ქარხნებში 665 მუშა იყო დასაქმებული; ქუთაისის გუბერნიაშიხე-ტყის დამმუშავებელი 29 ქარხანაარსებობდა 641 მუშით, პროდუქციის წლიური ოდენობა – 175.000 მანეთი;

4. **1912 წელი.** თბილისის გუბერნიაში არსებობდა ხე-ტყის დამმუშავებელი 62 ქარხანა, პროდუქციის წლიური ოდენობა 423.000 მანეთს შეადგენდა, ქარხნებში 398 მუშა იყო დასაქმებული; ქუთაისის გუბერნიაშიხე-ტყის დამმუშავებელი 35 ქარხანა მუშაობდა 1.218 მუშით, პროდუქციის წლიური რაოდენობა 288.000 მანეთს შეადგენდა;

საქართველოში მრეწველობის განვითარება დიდად შეაფერხა პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ (1914 წ.). ომმა პროდუქციის ნაწილზე მოთხოვნა გაზარდა, ხოლო მეორე ნაწილის წარმოება ან შემცირდა, ან საერთოდ შეწყდა.

ვახტანგ გურული

(ვახტანგ გურული, საქართველოს ახალი ისტორია, (1801-1918), წიგნი 3; გვ.117-120)

ვულოცავთ!

ლეო ანთაძე 88 წლისაა

12 ნოემბერს, ცნობილ ქართველ მსახიობს, საქართველოს სახალხო არტისტს, ბატონ ლეო ანთაძეს 88 წელი შეუსრულდა!

ბატონი ლეო გვახსოვს ფილმებში:

„ყვავილი თოვლზე“; „გლადიატორი“; „წკიპურტები“; „ერთი ნახვით შეყვარება“; „გაქცევა გათენებისას“; „დათა თუთაშხია“; „თბილისი პარიზი თბილისი“; „მშობლიურო ჩემო მიწავ“; „მონანიება“; „სკაპენის ოინები“; „თეთრი ბაირაღები“; „წარსულის აჩრდი-ლები“; „ქუჩის დღეები“; „ლომა“;„საფეხური“;„უკვდავების თეთრი ვარდი“ და სხვა!

მისი ბენეფისი ოზურგეთის თეატრის სცენაზეც გაიმართა.

ვულოცავთ მხცოვან ხელოვანს ამ დღეს და ვუსურვებ მხნეობას, ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს!

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრი

10 ახალშობილი ერთ დღე-ღამეში

„მძიმე სამუშაო დღის სასიამოვნო დასასრული, 11 დან 12 ნოემბრამდე 10 ახალშობილი მოევლინა საქართველოს და ოზურგეთს კლინიკა „მედალფაში“, 7 ვაჟკაცი და 3 ქალიშვილი. ჩვენ ვერავინ მოგვერევა, ყველას და ყველაფერს დავამარცხებთ. ყველაფერი კარგად იქნება“– წერს ოზურგეთის „მედალფას“ კლინიკის დირექტორი **დავით მდინარაძე** საკუთარ ფეისბუქგვერდზე.

ბოდიში ყველას, ჩემი დროც ამოიწურა - ვაისი საქართველოს ნაკრებიდან მიდის

საქართველო 0:1 ჩრდ. მაკედონია | გოლი: 0:1 პანდევი (56)

...თამაშზე და პასუხისმგებლობაზე: „ბოდიში დღევანდელი დღისთვის.. პასუხისმგებლობა მე მეკისრება. ეს არის ფეხბურთი, ბოდიშს ვუხდი ფეხბურთელებს, ფედერაციას, გულშემატკივრებს. ჩრდილოეთ მაკედონიამ ერთი გოლი გაიტანა და გაიმარჯვა, ვულოცავ მათ. ისინი უკეთესები იყვნენ. ძალიან სამწუხარო დღეა ჩემთვის, გუნდისთვის, ყველასთვის."

...დაგვიანებულ ცვლილებებზე: „ყველ დაგვიანებული იყო ცვლილება, მაგრამ სათადარიგო ფეხბურთელთა შორის უფრო მაღალი ხარისხი არ იყო.“

...ბოლო თამაშებზე: „ჩემი სამუშაო აქ სრულდება, ორი თამაშის შემდეგ შეგიძლიათ დაელოდოთ ახალ მთავარ მწვრთნელს. მე ვასრულებ ხუთწლიან საქმიანობას საქართველოში. მადლობა ყველას, ფეხბურთელებს, ფედერაციას, გულშემატკივრებს, ჟურნალისტებს და

ბოდიშს გიხდით.“

...გაშვებულ გოლზე: „დღევანდელი გოლი კონკრეტული ფეხბურთელების მაღალმა ხარისხმა განაპირობა და ჩვენ სწორედ ეს ხარისხი დაგვაკლდა. ამ დროს მნიშვნელოვანია მენტალიტეტი და ფსიქოლოგიური მდგომარეობა,.“

...დაბოლოს: „შემიძლია ვთქვა, რომ გოლი დაგვაკლდა ევროპის ჩემპიონატზე სათამაშოდ და ერთი პოზიციური შეცდომა გამოდგა გადამწყვეტი..“

მონიკა ახვლედიანი და თამუნა ლურსმანაშვილი ფესტივალ „ევერია ბრილიანტის“ ფინალისტები არიან

საქველმოქმედო ასოციაცია „გურიას“ ბენეფიციარები **მონიკა ახვლედიანი** და **თამუნა ლურსმანაშვილი** შშმ პირთა სიმღერის, ცეკვის და ხელოვნების საერთ-აშორისო ფესტივალ „ევერია-ბრილიანტის“ ფინალისტები არიან.

„ევერია ბრილიანტს“ 24- ი ფინალისტი ყავს, ფესტივალში, შვიდი ქვეყნის 33 მონაწილე იღებდა მონაწილეობას, საქველმოქმედო ასოციაცია „გურიას“ ბენეფიციარები სხვა ფინალისტებთან ერთად ეცდებიან გამარჯვება მოიპოვონ. ფესტივალის ფინალური გალა კონცერტი საქართველოში, თბილისში, 2020 წლის 3 დეკემბერს ჩატარდება.

ფესტივალის დამფუძნებლის ნუგზარ ჭიაბერაშვილის განცხადებით: ქართველი მონაწილეები სცენაზე ცოცხალი შესრულებით იმღერებენ, ხოლო უცხოელთა სიმღერას მსმენელი ისევ ვიდეო ჩანაწერით მოისმენს.

„თუ კორონა ვირუსის ბლოკირება მოხდება და საზღვრები გაიხსნება, უცხოელ სტუმრებსაც ვუმასპინძლებთ. მაღალი შეზღ-დვების გამო, შესაძლოა, მხოლოდ ონლაინ დაჯილდოება მოხდეს და შემდეგ, როდესაც აღნიშნული შეზღუდვები მოიხსნება, მონაწილეები სიგელებს პორადად მიიღებენ. ფესტივალი ლაივით წარიმართება, სოციალური ქსელის – ფეისბუქის საშუალებით, შესაბამისად, ყველა მონაწილე ქვეყანას ექნება საშუალება უყუროს დაჯილდოებას და გაიზიაროს გამარჯვებულთა ემოციები.“

ჟიურის შემადგენლობა ძალზედ საინტერესოა და მრავალი სფეროს ადამიანს მოიცავს, მათ შორის, რა თქმა უნდა, ხელოვანები სჭარბობენ: დეკანოზი გურამ ჭარელაშვილი, ცოური მჭედლიძე, დუტა სხირტლაზე, ირაკლი ტაბაღუა, გიორგი წერეთელი, იურეკ ტურეკი, ლუცია ტერენი, დიმიტრი შვეცი, ქეთი ლინჩიკი, არმენ ალავერდიანი, აიდ-ოღალ თოფალი და ფესტივალის დამფუძ-ნებელი ნუგზარ ჭიაბერაშვილი.

მონაწილეებმა 2020 წლის 13 ნოემბრამდე ორი ვიდეო ჩანაწერი უნდა წარადგინონ. ეს შეიძლება იყოს აკაპელა, დუეტი, მშობლიური ან უცხოური სიმღერა. არჩევანი თავისუფალია! ქართველ მონაწილე-თაგან პირველი სამსამი ადგილი (პირველი, მეორე, და ორი მესამე, სულ რვა ადგილოსანი) და ჟიურის ფავორიტები, 2021 წელს გაემგზავრებიან „ევერია – ბრილიანტის“ მსგავს ფესტივალებზე უკრაინაში, პოლონეთში და რუმინეთში. უცხოელი გამარჯვებულები კი 2021 წლის საქართველოს ზამთრის საკურორტო ქალაქში დაისვენებენ...

ხუროშვილმა „არწივებს“ 26 ქულა შესძინა

რაგბიში საქართველოს ეროვნ-ული ჩემპიონატის (პირველი ლიგა) მე-4 ტურში ოზურგეთის „არწივებმა“ წყალტუბოს „დინოზავრებს“ უმასპინძლეს.

ძალიან საინტერესო და და-ძაბულ ბრძოლაში „არწივებმა“ 36: 17 დამარცხეს მეტოქე. როგორც გუნდის №15-მა **ლევან ხუროშვილმა** გვითხრა, ბიჭებს თამაში კარგად წაუვიდათ და ოზურგეთელებმა სამი ლელო დადეს. პირველი ლელო ლევანმა დადო, შემდეგ კი **მირზა შინიძემ** და **შოთა ცეცხლაძემ.**

ყველა რეალიზაცია ლევან ხუროშვილმა უნაკლოდ შეასრულა, ჯარიმებიც კარგად დაარტყა და საბოლოოდ „არწივებს“ ხუროშვილმა 26 ქულა შესძინა.

ოზურგეთის „არწივებს“ 4 ტურის შემდეგ 3 მოგება აქვს.

სოფელ მთისპირში მგელმა პირუტყვი დაგლიჯა

ალიონი. როგორც სოფელ მთისპირიდან გაზეთ „ალიონს“ აცნობეს, 13 ნოემბერს მგელმა სოფლის დასახლებულ ტერიტორიაზე მთისპირელი ნ. ნ-ს ხბომოსაყვანი ძროხა დაგლიჯა.

მთისპირში ეს პირველი შემთხვევა არ არის. დათვი და მგელი მნივნელოვან ზიანს აყენებენ აქაურებს. ვანისქედის, უკანავას უბანში ფაქტიურად აღარ ჰყავთ წვრილფეხა პირუტყვი: თხა, ცხვარი, ღორი.მოსახლეობა მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს მხოლოდ მწყემსების თანხლებით უშვებს საძოვარზე. იყო ადამიანებზე თავდასხმის შემთხვევებიც. წლების წინ დათვი უკანავაში თავს დაესხა გ.ძ-ს, რომელსაც ოზურგეთის საავადმყოფოში რთული ოპერაციის გაკეთება მოუწია.

შედარებით იოლად გადაურჩა დათვის თავდასხმას უკანაველი ჯ.შ. ამ შემთხვევაში მისი ტრავმა შედარებით მსუბუქი იყო.

მგლები სოფელ მთისპირის ცენტრშიც, მოსახლეობასთან ახლოს მოდიან.თუმცა აქაურები, შესაბამისი ზომების მიღებას ვერ ახერხებენ, რადგან მათ ცხოველის მოკვლის შემთხვევაში სასჯელის ეშინიათ.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, ღრუბელი +9+18	მზე, ღრუბელი +11+20	მზე, ღრუბელი, +11+23	მზე, ღრუბელი +5+14	წვიმა, +8+19	წვიმა, +7+20	წვიმა, +8+21
16 ნოემბერი ორშაბათი	17 ნოემბერი სამშაბათი	18 ნოემბერი ოთხშაბათი	19 ნოემბერი ხუთშაბათი	20 ნოემბერი პარასკევი	21 ნოემბერი შაბათი	22 ნოემბერი კვირა